

## კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში

ნიკოლოზ ნაცვლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

### რეზიუმე

თანამედროვე საბანკო საქმე ადამიანური ბიზნესია როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. საბანკო ბიზნესი თავისი მოცულობით, მთლიანობაში, ძალიან ახალგაზრდაა. მიუხედავად ამისა, მან უკვე მოასწრო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი განვითარების ყველა ძირითადი ფაზის გავლა. ბანკები დღესდღეობით პროდუქტის ფართო ასორტიმენტით და მომსახურების მაღალი ხარისხით აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს და ლიდერობენ საქართველოს ბიზნეს სფეროში, ახალისებენ მომხმარებლებს ახალი პროდუქტებითა და მომსახურების თანამედროვე ფორმებით. ბანკი არის განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების თავმოყრა, კრედიტების გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებები, მიმოქცევაში განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ფულის გაშვება, ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვა. ბანკი საბაზრო სტრუქტურის ერთ—ერთი ცანტრალური რგოლია, რომლის არსი მის ძირითად ფუნქციებში ვლინდება. ბანკს, როგორც ნებისმიერ სხვა საწარმოს, თავისი პროდუქცია გააჩნია. დიდია კომერციული ბანკების როლი ინვესტიციების ზრდაში: არსებობენ მრავალგვარი საინვესტიციო კომპანიები, რომელთაგან არჩევანი უნდა გაკეთდეს კომერციულ ბანკებზე.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სისტემა, ინვესტიციური გარემო, საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციური პროექტები, საფინანსო ინვესტიციები, შერეული ინვესტირება, ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი.

## **შესავალი**

დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს ინსტიტუტს ქართული ეკონომიკის განვითარებაში და მისი როლის გაზრდა სამეწარმეო ბიზნესის დაკრედიტებაში პირდაპირ პროპორციულად აისახება ქართულ ეკონომიკაზე. საქართველოს უმთავრეს ამოცანას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია გაუმჯობესდეს ინვესტიციური გარემო, რათა ადგილობრივმა და უცხოელმა ინვესტორებმა შეძლონ ყოველგვარი რისკის გარეშე გააფართოვონ საქმიანობა წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

საგულისხმოა, რომ 90-იან წლების დასაწყისიდან საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბები მკვეთრად შემცირდა. მწირი ფინანსური რესურსების პირობებში ქვეყანამ ვერ შეძლო სოლიდური ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში. ამ პერიოდის მიღწევად საინვესტიციო სფეროში შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ინვესტიციების მოცულობის უპირატესი ზრდა. საქართველოს აქტიურ ჩაბმას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოყვა უცხოური ქვეყნების გააქტიურება ჩვენს საინვესტიციო ბაზარზე. თუ თავდაპირველად უცხოური ფირმები ინვესტიციებს მხოლოდ სტრატეგიულ მნიშვნელობის სფეროებსა და დარგებში აბანდებდნენ, ამჟამად მნიშვნელოვანი სოლიდური ინვესტიციები ჩაიდო საქართველოს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგშიც კი, როგორიცაა კვების მრეწველობა. საქართველოს ჩაბმამ მსოფლიო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში კიდევ უფრო გაზარდა უცხოელთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პროექტების მიმართ.

## **ძირითადი ტექსტი**

თანამედროვე პირობებში ქვეყანაში, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციის და რღვევის პროცესი გრძელდება, უმრავლეს სამრეწველო საწარმოში მატერიალურ-

ტექნიკური საშუალებები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაცვეთილია, ტექნიკური პროცესი, ინოვაციური პროცესი შეჩერებულია, დღითიდღე იზრდება საგარეო-ეკონომიკური დავალიანება, დიდია იმპორტის და მცირეა ექსპორტის მოცულობა, ვალუტის დევალვაცია ინფლაციური პროცესების გაუარესებას იწვევს, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის საწარმოო პოტენციალის ამაღლების საკმარისი ფინანსური რესურსები.

შექმნილმა კრიზისმა საბანკო დაკრედიტების სერვისი შეამცირა და სისტემა გადავიდა ახლი თამაშის წესებზე, გაიზარდა დაკრედიტების საგარანტიო ვალდებულებები, გაიზარდა დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ სწორი სიანვესტიციო პოლიტიკის შემუშავების საფუძველზე, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესგეგმის სწორ შემუშავებას, რისკ-ფაქტორების მაქსიმალურ მინიმიზაციას, რომელიც შემდგომში საშუალებას მისცემს როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ მენარმეებს და, შესაბამისად, ბანკებს მეტი სითამამით მოახდინონ ინვესტირება, რაც წარიმართება სწორი, მიზანმიმართული და მომგებიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მოახდენს მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას საქართველოში, ადგილობრივმა კომერციულ ბანკებმა უნდა შეეძლონ როგორც ინვესტიციური პროექტების დაკრედიტება, ასევე საკუთარი ინვესტიციების განხორციელება. ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური პირობები, საკანონმდებლო დონეზე მკვეთრად უნდა გაიწეროს მხარეთა ვალდებულებები და სხვა მასში შემავალი საკითხები. ეს მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი ინვესტორებისათვის, ასევე უცხოური ინვესტორებისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტური განთავსების ორგანიზაცია, რაც შეუწყობს ხელს საქართველოში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას.

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (ინვესტირე შე-  
მოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის  
სხვადასხვა დარგის საწარმოებში. ინვესტიციები ბიზნესში თავის  
უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება  
საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. მაშასადამე, ინვეს-  
ტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სამ-  
ძღავერები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცე-  
სების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება  
წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და  
სამუშაო ძალა) შეძენა და სამენარმეო საქმიანობის განხორციელე-  
ბა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირე-  
ბა რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების  
მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების  
წარმოებასთან „ნორმალური“ რისკის პირობებში.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი  
ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვეს-  
ტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. ეკონომი-  
კური ინვესტიციებისაგან განსხვავებით, საფინანსო ინვესტიცი-  
ები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძღავერების შექმნას და  
მათი გამოყენების კონტროლს. ამიტომ, საფინანსო ინვესტორი  
უშუალოდ არ მონაწილეობს მართვის პროცესში და წინასწარ ეგ-  
უება რეალური აქტივების სხვისგან მართვას. როგორც წესი, იგი  
უბრალოდ ყიდულობს უკვე არსებულ ფასიან ქაღალდებს. საფი-  
ნანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდ საკუთრების  
უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე თავის სა-  
კუთრების უფლებას (აძლევს ფულს) და ამის სანაცვლოდ ღებუ-  
ლობს უფლებას მომავალ შემოსავალზე (იძენს ფასიან ქაღალდე-  
ბზე საკუთრების უფლებას).

საქართველოში ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემ-  
დეგი ფორმით:

- კერძო და კომერციული ინვესტირება, რომელსაც ახორ-  
ციელებენ მოქალაქეები, საზოგადოებები, ამხანაგობები და სხვა  
კერძო და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული იურიდიული  
პირები;

- სახელმწიფო ინვესტირება, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო, ბიუჯეტგარეშე ფონდების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი და ნასასხები სახსრების ხარჯზე;

- ერთობლივი ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეები, იურიდიული პირები, სახელმწიფოები;

- შერეული ინვესტირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა კომბინირებით.

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად შემცირდა, რიგ შემთხვევაში საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მენარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუაშავლო სექტორში.

კომერციული ბანკების ინვესტიციები საკრედიტო ოპერაციებისგან რიგი თავისებურებებით განსხვავდება. საკრედიტო სესხები სახსრების განსაზღვრული პერიოდის შედარებით მცირე დროის განმავლობაში გამოიყენებას ითვალისწინებს, მათი დადგენილ ვადაში დაბრუნებითა და სასესხო პროცენტის გადახდის პირობით. ინვესტიციები კი სახსრების დროის გრძელვადიანი პერიოდით დაბანდებას ითვალისწინებს მანამ, სანამ ბანკის მიერ დაბანდებული სახსრები თავის მფლობელს დაუბრუნდება. საბანკო დაკრედიტებისას სესხების ინიციატორად მსესხებელი გამოდის. ინვესტირებისას კი — ინიციატივა კომერციულ ბანკს ეკუთვნის, რომელიც მიისწრაფვის აქტივები ფასიანი ქაღალდების ბაზარ-

ზე შეიძინოს. საბანკო დაკრედიტება ბანკი—მსესხებლის ურთიერთობებთან პირდაპირ არის დაკავშირებული. საინვესტიციო საქმიანობა კი — ბანკის გაუპიროვნებელი საქმიანობა<sup>1</sup>.

ჩვეულებრივ, კომერციული ბანკების ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება საკრედიტო ოპერაციებისაგან განცალკევებით, თუმცა მათი ეკონომიკური ეფექტი და სოციალური შედეგები მაინც არსებითად ერთნაირია. იმის გამო, რომ სახელმწიფოს ხარჯები ყოველთვის ვერ იფარება შემოსავლებით, კომერციული ბანკებისაგან დროებით სესხის აღება არც თუ ისე იშვიათია. მაშასადამე, ბანკის სესხები აადვილებენ მთავრობის ფინანსურ საქმიანობას. მთლიანობაში, მსხვილი სამთავრობო პროგრამების დაფინანსება ხორციელდება არა სახელმწიფოს შემოსავლების ხარჯზე, არამედ სესხის ობლიგაციების გამოშვების გზით. ბანკები, ყიდულობენ რა მუნიციპალური ორგანოების ფასიან ქალაქებს, აძლევენ მათ აუცილებელ სახსრებს სკოლების და საავადმყოფოების ასაშენებლად, ახალი სახანძრო მანქანების შესაძენად და ა.შ. მსგავსი დანახარჯები ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქების შესყიდვისას მიღებული სახსრები გამოიყენება ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა ავტოსტრადების და კაშხალების მშენებლობა, ეროვნული თავდაცვა და ა.შ.

ბანკის საემისიო ოპერაციები - ეს არის ბანკის საქმიანობა საკუთარი ფასიანი ქალაქების გამოშვების მიზნით. კომერციული ბანკები უშვებენ შემდეგი სახის ფასიან ქალაქებს: აქციებს, ობლიგაციებს, ჩეკებს, თამასუქებს, სადეპოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატებს, წარმოებულ ფასიან ქალაქებს (ოფციონებს, ფიუჩერებს, ფორვარდებს). ობლიგაციების გამოშვებით კომერციული ბანკები მოიზიდავენ დამატებით სასესხო სახსრებს. თამასუქების, ჩეკების, სადეპოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატების ემიტირებით კომერციული ბანკები ასრულებენ თავის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას - ფულადი სახსრების აკუ-

---

<sup>1</sup> ძირითადი ფაქტორები, რომლებიც კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ჩატარების მიზანს განსაზღვრავს, — არის მოთხოვნა შემოსავლის მიღებაში და მოთხოვნა საკუთარი აქტივების განსაზღვრული ჯგუფის ლიკვიდურობის უზრუნველყოფაში.

მუღირებას და საგადასახდელო სახსრების შექმნას. აქციების გამოშვების მიზანს კი საწესდებო კაპიტალის ფორმირება წარმოადგენს. აქციონერული კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი არის აქციონერების მიერ შეძენილი მისი აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი. ყოველი კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი სახსრების სიდიდესა და მათ სტრუქტურას, გამომდინარე მის მიერ მიღებული განვითარების სტრატეგიიდან.

კომერციული ბანკების საქმიანობაში ოპერაციების არენდით, ანუ ლიზინგით განხორციელებამ საკმაო განვითარება მიიღო. ლიზინგური ოპერაციების განხორციელების მიზნით ბანკები აფინანსებენ შეძენას და შემდგომ სამრეწველო საწარმოებზე გრძელვადიან არენდით გასცემენ მანქანებს, მოწობილებებს, სატრანსპორტო საშუალებებს, საწარმოო დანიშნულების ნაგებობებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საშუალებების შესაძენად საწარმოებზე სესხების გაცემის სანაცვლოდ, ბანკი თვითონ იძენს და არენდაში გადასცემს მათ, თავისთავზე მესაკუთრის უფლების შენარჩუნებით. ამასთან, ბანკი საარენდო გადასახადს (ლიზინგური გადახები) და არა სასესხო პროცენტებს ლეზულობს. საწარმოებისთვის ლიზინგი ინვესტიციის დაფინანსების სპეციპიკურ ფორმას წარმოადგენს.

კომერციული ბანკებისთვის ლიზინგური ოპერაციების მიმზიდველობა ამ საბანკო ოპერაციისათვის რეალური მატერიალური უზრუნველყოფის არსებობით აიხსნება. გარდა ამისა, ლიზინგური ბიზნესის განვითარება ბანკებს თავისი ოპერაციების წრის გაფართოების, კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ამით მათი რაოდენობის გაზრდის, ტრადიციული კავშირების განმტკიცებისა და კლიენტებთან პარტნიორული ახალი ურთიერთობების დამკვიდრების შესაძლებლობას იძლევა. ლიზინგი არის უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი მომსახურება კომპანიებისათვის, როდესაც ისინი ვერ აკმაყოფილებენ საბანკო მოთხოვნებს, რათა მიიღონ სესხი. განსაკუთრებით მოსახერხებელია ახლად დაწყებული ბიზნესისთვის, როდესაც აქტივებში არ არის საკმარისი რესურსები, რომ სრული დატვირთვით დაიწყოს მუშაობა.

## **დასკვნა**

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ფინანსური სტრუქტურა ორ ძირითად საფუძველზე დგას: ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო. საბანკო სფერო დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ განვითარებულია, თუმცა სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების ბაზარი და, შესაბამისად, საქართველოს საფონდო ბირჟა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარი პულსის მზომია, სადაც პირველ რიგში აისახება ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება და რყევა.

## **ლიტერატურა:**

1. ასათიანი ვ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი, 2014.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2014.
3. ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული). შემდგენელი პროფ. ლ. ქოქიაური. - თბილისი, 2009.
4. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; ; <http://www.doing-business.org>; <http://rs.ge>

## **REFERENCES:**

1. Asatiani V., Caava G. - Commercial banks, financial analysis (theory, methods and practices). - Tbilisi, 2014.
2. Kovzanaze I., Kontrize G. - Modern Banking. Manual. - Tbilisi, 2014.
3. Finance, Investments, Banking. Encyclopedic Terminology (English-Russian-Georgian). PRO compiler prof. L. Qoqiauri. - Tbilisi, 2009.
4. Internet resources: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>;

<http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>; <http://rs.ge>.

## INVESTMENT ACTIVITY OF COMMERCIAL BANKS IN GEORGIA

**Nikoloz Natsvlishvili**

GTU, PHD Student

### RESUME

Modern banking business as a whole is dynamic in the world, also in Georgia. Today, a wide range of banking products and services meet the high quality standards and the leaders of the European business sector, are encouraging users of new products and services in modern forms. The bank is a special economic institute, whose main functions are: to collect funds, credits, cash payments, and the amount of money in circulation is determined by the type of set-up, and other securities are denominated. The bank market structure is one located in the central layer, the essence of its main functions are revealed. The bank, like any other industry, has its products. Large commercial banks' role in the growth of investments: There are a variety of investment companies, which choose in what commercial banks to invest in.

**Keywords:** banking system, investment environment, investment activity, investment policies, investment projects, financial investments, joint investments, option, futures, forward.